პროლეტარეტნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

29 ივლისი ხუთშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 172 (15082)

ხუთწლედი — ვადამდე!

მეაბრეშუმეთა ნოგათები

□ **გურჯაანი.** (საკ. კორ.). კარგად იშრომეს წელს რაიონის მეაბრეშუმეებმა — ამბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა პირველი გამოკვებითვე შეასრულეს. გურჯაანელებს გეგმით სულ 850 ცენტნერი აბრეშუმის პარკი უნდა მიეყიდათ სახელმწიფოსათვის, ფაქტიურად უკვე მიჰყიდეს 607 ცენტნერი. პარკის ჩაბარება გრძელდება.

სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვაში თავი ისახელეს ჩუმლაყელმა მშრომელებმა, რომლებმაც წლიური გეგმა 136,6 პროცენტით შეასრულეს, ვაზისუბნელებმა გეგმა გაანაღდეს 130 პროცენტით, ველისციხელებმა — 129, ბაკურციხელებმა—122, ჰანდრელებმა — 119 პროცენტით.

□ **საჩხერე.** (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდეს 165 ცენტნერი მაღალხარისხოვანი პარკი ნაცვლად 150 ცენტნერისა.

აბრეშუმის პარკი გეგმის გადამეტებით ჩაბარეს სავანის, ორღულის, ჩიხის, იტალიაზის კოლმეურნეობებმა. სავანელმა მეაბრეშუმემ გ. ვაჭრიძემ 9 გრამი მურიდან 22 კილოგრამის ნაცვლად 42 კილოგრამი პარკი ჩაბარა. ამდენივე მურიდან 43 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღო თ. ივაჭრიძემ.

ახლა საჩხერელი მეაბრეშუმეები წლიური გეგმის გადამეტებით აბარებენ პარკს.

თავდადებული ერთგული — ბიბლიოთეკა

ეკრანზე

● **თბილისი.** უკანასკნელ ხანებში საავეჯო კომბინატის (დირექტორი პ. დუნდუა) კოლექტივმა მკვეთრად გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, გაფართოვა ასორტიმენტი. აქაურ ავეჯს ახლა მომხმარებელი სიამოვნებით ყიდულობს. ეს რომ ასეა, ამაზე ნათლად მეტყველებს მიმდინარე წლის შვიდი თვის შედეგები. მეავეჯეებმა რეალიზაციის დავალება 101,5 პროცენტით შეასრულეს, გეგმის გადამეტებით 67 ათასი მანეთის ავეჯის რეალიზაცია მოახდინეს, წლის პირველ ნახევარში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 7,8 პროცენტით აამაღლეს, თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 56 ათასი მანეთის ეკონომია.

მწყობრში ჩადგა ავეჯის დეტალების დამამზადებელი საამქრო, რომელიც მაღალხარისხოვანი დეტალებით შეუფერხებლად მოამარაგებს საამქროებს. საამქროს სრული სიმძლავრის ათვისების შემდეგ კომბინატში დიდად გაიზრდება ავეჯის წარმოება, გაუმჯობესდება მისი ხარისხი.

● **ქუთაისი.** (საკ. კორ.). რიონჰესის კასკადი, რომელიც კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელს ატარებს, ცამეტი წელიწადია უწყნოდ და უავარიოდ მუშაობს. კასკადის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა — გეგმის გადამეტებით მისცა სახალხო მეურნეობას 2 მილიონ 147 ათასი კილოვატ-საათი ელექტრონერგია, ამასთან საკუთარ მოხმარებაზე 10 ათასი კილოვატ-საათი დაზოგა, გამომუშავებული ენერგიის თვითღირებულება გათვალისწინებულთან შედარებით 2,5 პროცენტით შეამცირა და ათასობით მანეთი ზედმეტი მოგება მიიღო.

ენერგეტიკოსებმა გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დაამთავრეს აბჯესის № 2 და № 3, სულორჰესის № 1 და № 2 აგრეგატების კაპიტალური რემონტი.

ხუთწლედის დასაწყისი

ჩვენი სამშობლოს ყოველი დღე ნიშანდობლივია მშრომელთა სახელოვანი საქმეებით. საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც 1971 წლის გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის გაიშალა, არნახულად გაფართოვდა, გაიზარდა შრომითი აქტივობა და ეს ფრიად კარგ გავლენას ახდენს ჩვენი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

პრესაში გამოქვეყნებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა — ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ ლაკონურად და ზუსტად ასახავს ჩვენი ქვეყნის შრომითს გამარჯვებებს. ამ მრავლისმეტყველი ცნობის სტრიქონებში ჩანს შემოქმედების ნათელი პანორამა, რომელიც მოიცავს მუშათა კლასის — ჩვენი საზოგადოების წამყვანი ძალის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებულ შრომას, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხების წარმატებას.

ჩვენი ინდუსტრიის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით სამრეწველო წარმოების მატებამ 8,5 პროცენტი შეადგინა. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 7 პროცენტით, რეალიზებულია 4,5 მილიარდ მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ნახევარი წლის გეგმით იყო გათვალისწინებული.

კარგ შედეგებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც, გადაჭარბებით შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა, გაიზარდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობა და პროდუქტიულობა.

ჩვენი სოციალისტური ქვეყნის წარმოების განვითარების უმაღლესი მიზანია მშრომელთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება. ამ მხრივაც წარმატებით ხორციელდება პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

სახალხო მეურნეობის ამ საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებს. ამაზე ნათლად მიუთითებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა. 1971 წლის გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის სოციალისტურმა შეჯიბრებამ კარგი შედეგი გამოიღო, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. სამრეწველო წარმოების მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7 პროცენტი შეადგინა. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 6 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიღებულია პროდუქციის მთელი მატების 88,8 პროცენტი. მთლიანად სახალხო მეურნეობაში შესრულებულია მოგების ნახევარი წლის გეგმა. 1970 წლის პირველ ნახევართან შედარებით მოგება გაიზარდა 10,4 პროცენტით, აქედან მრეწველობაში — 8,9 პროცენტით.

ხუთწლედის პირველი წლის განვლილ პერიოდში კარგად იშრომეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრეს გაზაფხულო მინდვრის სამუშაოები. წარმატებით მიმდინარეობს მოსავლის აღება და პირუტყვისათვის საკვების დამზადება. შესამჩნევად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად უმჯობესდება ხალხის საყოფაცხოვრებო პირობები. წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი გაიზარდა 4 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 4 პროცენტით.

ახლა, ნახევარი წლის მუშაობის შედეგების სიმაღლიდან მკაფიოდ ჩანს, რომ სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპი ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლებით, როგორიც არის ეროვნული შემოსავალი, სამრეწველო წარმოების მოცულობა, ტრანსპორტის ტვირთბრუნვა, მოსახლეობის რეალური შემოსავალი, მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი, საცალო საქონელბრუნვა, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, წარმატებით ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

რა თქმა უნდა, წარმატება თავისთავად როდი მოვა. ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენენება იმას, თუ როგორ წარვმართავთ მუშაობას შემდგომში. ახლა მთავარია უფრო მეტი ენერგიითა და თანმიმდევრობით გამოვიყენოთ ჩვენი უდიდესი რეზერვები, დაბეჯითებით დავძლიოთ ნაკლოვანებები სამეურნეო საქმიანობაში. ახეთი ნაკლოვანებანი კი, როგორც ეს საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ბევრი დარგის საწარმოები ვერ ასრულებენ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ნაკეთობათა თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვების გეგმებს. მშენებლებს მთლიანად არ შეუსრულებიათ ახალი სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების პროგრამა. ცალკეულ სამინისტროებში გაჭიანურდა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის გეგმების შესრულება; საქართველოს მთელ რიგ რაიონებში დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა, ნელა იზრდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, მაღალია თვითღირებულება. ყოველივე ეს მოწმობს, რომ საჭიროა ღრმა ანალიზი გავუკეთოთ ნახევარში წლის შედეგებს, გაკვეთილი გამოვიტანოთ პრაქტიკიდან და, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, გამოვიყენოთ შეძენილი გამოცდილება იმისათვის, რომ აუცილებლად ვიაროთ წინ, აუცილებლად ვიბრძოლოთ უფრო მეტისათვის.

მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგს უკეთესი მაჩვენებლების მოპოვების შესაძლებლობები აქვს. ამას ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი მოწინავე ადამიანების პატრიოტულმა თაოსნობამ, რომელიც წლის პირველ ნახევარში წარმოიშვა და ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. ხუთდღიური — ოთხ დღეში, ამ თაოსნობით გამოვიდნენ მგრეხავი ს. კოწიწაშვილი, ხარატი გ. მარღანია, მრთველი მ. არათანაშვილი, მძღოლი ვ. ემნაძე. ამ ნოვატორებმა უკვე საქმით დაამტკიცეს, რომ ნაკისრი ვალდებულება რეალურია და მისი შესრულება შეიძლება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ნოვატორთა საყურადღებო ინიციატივა. ახლა მთავარია პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა ფართოდ გავრცელდეს წარმოების მოწინავეთა ეს შესანიშნავი თაოსნობა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა შეჯიბრების მონაწილეებს ყველა პირობა უნდა შეუქმნან იმისათვის, რომ გადაჭარბებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი. ამისათვის გონივრულად უნდა გამოიყენონ მატერიალური და მორალური სტიმულები.

შეჯიბრების საბრძოლო დევიზი — „ხუთწლედი ვადამდე!“

სახალხო მეურნეობის ყველა მუშაკს მოუწოდებს მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდოს დაკისრებულ მოვალეობას, ენერგიულად დაუჭიროს მხარი ბრძოლას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის, რათა ახალი შრომითი ვალდებულებებით შესრულებისათვის. ამ მეორე ნახევარში და ამით მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მეცხრე ხუთწლედის ვადამდე და პირნათლად შესრულებას.

ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში!

ინიციატივა ფრთებს შლის

შეჯიბრებაში ჩაება მძღოლი გ. რაზმაძე

თბილისელ მოწინავე მშრომელთა პატრიოტულმა თაოსნობამ, რომ ხუთი დღის დავალება შეასრულონ ოთხ დღეში, ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ჭიათურელ მაღაროელთა და მექანიზატორთა შორის. ერთ-ერთი მათგანია ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ დიმიტროვის სახელობის მაღაროს მაბიჯი ექსკავატორის მემანქანე მიხეილ დეკანოიძე. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად იგი თავდადებულად შრომობს, იბრძვის შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის. უკვე რამდენიმე კვირაა, რაც მოწინავე მწარმოებელი ხუთდღიან დავალებას ოთხ დღეში ასრულებს. სურათზე: მაბიჯი ექსკავატორის მემანქანე მიხეილ დეკანოიძე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

თელავი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის № 1 საავტომობილო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლის, სოციალისტური შრომის გმირის ვ. ემნაძის ინიციატივამ — ტვირთზიდვის ხუთი დღის ნორმის ოთხ დღეში შესრულების შესახებ — ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა თელავის საავტომობილო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლთა შორის.

თბილისელი მძღოლის ინიციატივას პირველი გამოეხმაურა ახალგაზრდა მძღოლი გ. რაზმაძე. იგი ხუთი წელიწადია მუშაობს და ამ ხნის მანძილზე თანამოსაქმეთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, მოწინავე მუშაკის სახელი დაიმკვიდრა. გ. რაზმაძემ გადაწყვიტა ტვირთის გადაზიდვის ყოველდღიური დავალება 20-25 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულოს, გულმოდგინედ მოუაროს მიმაგრებულ „ავტ-606“ მარკის ავტომანქანას და დაზოგოს საწვავი.

ნაკისრ ვალდებულებას გ. რაზმაძე პირნათლად ასრულებს, 20 ივნისიდან დაწყებული იგი ხუთი დღის ნორმას, 3,5-4 დღეში ასრულებს და დღეში 15-20 კილოგრამ საწვავს ზოგავს.

გ. რაზმაძეს ბევრმა თანამოსაქმემ მიბაძა და ახლა ისინიც წარმატებით იბრძვიან ხუთი დღის ნორმის ოთხ დღეში შესრულებისათვის.

ა. თვალიაშვილი.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

გუშინ კრემლის დიდ სასახლეში

მოსკოვი, 28 ივლისი. (საკდესი). დღეს დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო რუსეთის სფსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ.

ფეხზე ამდგარნი, მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, თ. დ. ულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. კაბანოვს, მ. ს. სოლომენცევს,** როცა ისინი მთავრობის ლოჟაში შემოვიდნენ. აქვე არიან სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეების მოადგილეები და წევრები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

სესია გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა მოქანდაკე **ნ. ვ. ტომსკიმ.**

დეპუტატებმა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს დეპუტატი **მ. დ. მილიონშჩიკოვი** — აკადემიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

არჩეულია აგრეთვე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის რვა მოადგილე.

დაამტკიცეს სესიის რეგლამენტი და დღის წესრიგი. სესიის განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. რსფრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევა.
2. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.
3. რუსეთის სფსრ კანონთა პროექტები „რუსეთის სფსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ“ და „რუსეთის სფსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ“.
4. რუსეთის სფსრ კანონის პროექტი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.
5. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა.
6. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
7. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.
8. რუსეთის სფსრ მთავრობის — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს შედგენა.

დეპუტატები ერთხმად აირჩევენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიას 21 კაცის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **მ. პ. ტრუნოვი.**

შემდეგ გამოაქვეყნეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, სსრ უმაღლესი საბჭოს მოადგილეთა, ეროვნებათა საბჭოს, ეროვნებათა საბჭოს, ეროვნებათა საბჭოს

არტილერისტ ოფიცერთა ახალი რაზმი

თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვან უმაღლეს სამეთაურო საარტილერიო სასწავლებელში დიდი დღესასწაულია. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძველესმა სამხედრო სასწავლებელმა, რომელმაც შარშან არსებობის 50 წლისთავი აღნიშნა, კურსანტთა მორიგი ნაკადი გამოუშვა.

ამასთან დაკავშირებით 28 ივლისს სასწავლებლის პირადი შემადგენლობა მოიწყო საზეიმოდ მორთულ მოედანზე.

დღესასწაულზე სასწავლებელში მოვიდნენ ამხანაგები ა. ინაური, ს. კურკოტკინი, ო. ლოლაშვილი, ნ. ცხაკაია, თ. მოსაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. შელეპინი, გენერალ-მაიორი ი. ნიკიფოროვი, სახმელეთო ჯარების სარკვეტო ჯარებისა და არტილერიის სარდლის წარმომადგენელი ი. ლებეხოვი, საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სასწავლებლის უფროსის პოლკოვნიკ ვ. ბაევის პატაკი მიიღო ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ს. კურკოტკინმა, რომელმაც გამოაცხადა, რომ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დავალებით უშვებს თბილისის სამეფოო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მორიგ ნაკადს.

პოლკოვნიკმა ვ. ბაევმა მწყობრის წინ წაიკითხა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშლის ა. გრეჩკოს ბრძანება კურსდამთავრებულთათვის ოფიცრის წოდება „ლეიტენანტის“ მინიჭების შესახებ.

შემდეგ ამხანაგებმა ა. ინაურმა, ს. კურკოტკინმა, ო. ლოლაშვილმა, ნ. ცხაკაიამ, თ. მოსაშვილმა, გენერალ-ლეიტენანტმა ა. შელეპინმა ახალგაზრდა ოფიცრებს გადასცეს სასწავლებლის დამთავრების დიპლომები და სამკერდე ნიშნები.

სტუმრები და სასწავლებლის მეთაურები ადიან ტრიბუნაზე. იწყება არტილერიის ოფიცერთა გამოშვებისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სასწავლებლის უფროსმა პოლკოვნიკმა ვ. ბაევმა. სრულ დიდ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ცხაკაიამ, სასწავლებლის მასწავლებელმა ოფიცერმა ა. შკურუბამ, თბილისის ქარხანა „მაგნიტოფონის“ ზეინკალმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. ბროკინმა, საქართველოს აღკაკი თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა გ. აბდუშელიშვილმა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ს. კურკოტკინმა, მათ მხურვალედ მიუფოცეს კურსდამთავრებულთა სწავლის წარმატებით დამთავრება.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ლეიტენანტმა ვ. მაქსიმენკომ.

წარკითხეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოსადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც კურსდამთავრებულნი პირობას დებენ, რომ ღირსეულად დაიცავენ წითელდროშოვანი სასწავლებლის სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს, მთელ თავიანთ ძალასა და ცოდნას მოახმარენ სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

მიტინგი დახურულად ცხადდება. კვლავ ჟღერს საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ ჰიმნების მელოდიები.

საზეიმო მარშით, მწყობრად ჩაუარეს კურსდამთავრებულებმა ტრიბუნას. მათ ამაყად მოჰქონდათ დიდებით მოსილი დროშა სასწავლებლისა, რომელმაც 30-ზე მეტი საბჭოთა კავშირის გმირი აღზარდა. (საქდესი).

ეევისწავლოთ და ეეუპოვარი ეროემით განვახორციელოთ

ამ დღეებში საქართველოს კპ ჰიათურის საქალაქო კომიტეტმა, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ და საზოგადოება „ცოდნის“ ჰიათურის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობამ ჩაატარეს თეორიული კონფერენცია თემაზე — „ღრმად შევისწავლოთ და განვახორციელოთ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი“.

ქვემოთ ვბეჭდავთ თეორიული კონფერენციის მოკლე ანგარიშს.

თეორიული კონფერენციისათვის მზადება ერთი თვით ადრე დაიწყო. მისი თემა იყო — „ღრმად შევისწავლოთ და განვახორციელოთ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი“. გეოლოსმით შეირჩა თემები, მომხსენებლები.

ადრიანად დაიბეჭდა მოსაწვევი ბარათები, განცხადება გამოაქვეყნა საქალაქო გაზეთმა „ჰიათურის მაღაროელმა“. კონფერენციის გამართვის დროც დადგა. პარტიის ქალაქკომის სხდომათა დარბაზში მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივი, იდეოლოგიური დარგის მუშაკები. ისინი ათვალიერებდნენ პოლიტიკური განათლების კაბინეტში პარტიის XXIV ყრილობის მასალებისადმი მიძღვნილ გამოფენას, იძენდნენ პოლიტიკურ და მხატვრულ ახალ წიგნებს, რომლებიც კონფერენციის მონაწილეებისათვის სპეციალურად მოეტანა „საქწიგნის“ მაღაზიას...

დაიწყო კონფერენცია. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ჰიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **პ. აბესაძემ.** მან ილაპარაკა პარტიის XXIV ყრილობის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე და დასძინა:

— ახლა ყრილობის ბრძნული გადაწყვეტილებებით შრომობს ის ბრძოლის საბჭოთა ხალხი. ჩვენი წმიდა და უპირველესი ვალია არა მარტო ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ ყრილობის მასალები, არამედ ყრილობის გადაწყვეტილებანი კარგად შევასწავლოთ ყველა მშრომელს და დავრაზმოთ ისინი ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულებისათვის. ჩვენ მუდამ ადამიანებთან, მასების შუაგულში უნდა ვიყოთ, გავუძღვეთ მათ მეცხრე ხუთწლედის ზღუდეების აღებისათვის ლაშქრობაში.

კონფერენციის მონაწილეებს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შეახსენა საბჭოთა ხალხის, კერძოდ ჰიათურის მშრომელთა ძირითადი საბრძოლო ამოცანები ახალ ხუთწლედში.

მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა საქართველოს კპ ჰიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანს **ო. გოგატიშვილს.** მან გააშუქა თემა — „სკკპ XXIV ყრილობა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ამოცანების შესახებ“.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის დიდ ამოცანებზე, დამსწრეთ მოაგონა ყრილობაზე ნათქვამი **ლ. ი. ბრეჟნევის** სიტყვები:

„ჩვენი პარტია მეცნიერული კომუნიზმის პარტიაა. იგი განუხრელად ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით, თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე, რევოლუციური მეცნიერებით, ყოველ ღონეს ხმარობს მისი შემდგომი განვითარებისათვის... ლენინიზმი, როგორც მარად ცოცხალი, განვითარებადი მოძღვრება, იყო, არის და იქნება პარტიის იდეური ცხოვრების ცენტრში, იქნება მთელი მისი რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის საფუძველი“.

— ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში, — თქვა მომხსენებელმა, — ჩაბმულია 248 ლექტორ-მომხსენებელი, 298 პროპაგანდისტი, 1.200-ზე მეტი აგიტატორი და პოლიტინფორმატორი, ადგილობრივი პრესა, რადიო, კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებები. ყრილობის მერ დაყენებულ თეორიულ-პრობლემურ საკითხებზე წაკითხულია 237 ლექცია. პარტიული განათლების სისტემაში ყრილობის მასალებს სწავლობდა შვიდი ათასზე მეტი კაცი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშრომელთა ეკონომიური ცოდნის დონის ამაღლებას, პარტიის ქალაქკომთან შეიქმნა ეკონომიური მუშაობის საბჭო. იდეოლოგიური მუშაობა მჭიდროდ უკავშირდება ცხოვრებას, კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას, ახალი ადამიანის ფორმირების ამოცანებს. ამისათვის უნდა ავამოქმედოთ იდეოლოგიური მუშაობის მთელი არსენალი.

„სკკპ XXIV ყრილობა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლის ამაღლების შესახებ“ — ამ თემაზე კონფერენციას მოხსენება წარუდგინა ჰიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **უ. სხირტლაძემ.** მან მიმოიხილა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის — საბჭოების ჩასახვა-განვითარების ისტორია. მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა საბჭოების დიდ როლსა და უფლება-მოვალეობებზე ყრილობის [illegible] დაწყვეტილებათა მიხედვით. [illegible] ტრესტის კოლექტივმა მერვე ლისუფლების ორგანოების [illegible] მელთა დეპუტატების [illegible] — 577 [illegible] ადგილი [illegible] სასაქონლო მარგანეცი და 599 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. აფაქიძემ მოიყვანა ტექნიკური პროგრესის, მაღაროელებისა და მეცნიერების მჭიდრო თანამეგობრობის ბევრი მაგალითი, განსაკუთრებით დაწვრილებით ილაპარაკა ტექნიკურ პროგრესზე ახალ ხუთწლედში.

მარტო წარმოების მართვის ავტომატური სისტემის შექმნაში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით მარგანეცის მრეწველობაში დაიხარჯება 3 280 ათასი მანეთი. სამაგიეროდ იგი ყოველწლიურად დაზოგავს 2.640 ათას მანეთს, წარმოადგენს გაადიდებს 24 პროცენტით, თვითღირებულებას შეამცირებს 13,5 პროცენტით.

შინაარსიანი იყო სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი ავრონომის **რ. წიგნაძისა** და ჰიათურმრგანმშენის ტრესტის მთავარი ინჟინრის **დ. დგებუაძის** მოხსენებები—„სკკპ XXIV ყრილობა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანებზე“ და „კაპიტალური მშენებლობა მეცხრე ხუთწლედში“. დ. დგებუაძემ დამსწრეთ მოოთხრო, თუ როგორ გამოიცვლება ქართული მარგანეცის ქალაქი მეცხრე ხუთწლედში, რა დიდი ამოცანები აქვთ ჰიათურელ მშენებლებს. მანვე დააყენა პროექტების და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტული საკითხები.

თეორიულმა კონფერენციამ საქმიანად, შინაარსიანად ჩაიარა.

ჯ. ჯიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთების ფურცლებზე

1. კომპლექსურ მექანიზაციას — მყვანე ქუჩა!

დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მეჩაიეობის რაიონებში კომპლექსური მექანიზაციის დასანერგავად. ამ ღონისძიებამ საგრძნობლად შეუმსუბუქა მძიმე შრომა ჩვენს მეჩაიეებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა. მსოფლიოში პირველმა ჩაის საკრეფმა მანქანა „საქართველომ“ საყოველთაო აღიარება ჰპოვა და მის შემქმნელებს ლენინური პრემია მიენიჭა.

ახლა კი წლითიწლობით დიდდება ჩაის კრეფის სამექანიზაციო ფართობები და დამსახურებულად იხვეჭს დიდ სახელს ჩაის საკრეფი მანქანა. იგი გადაიქცა რენტაბელობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. ჩაის საკრეფმა მანქანებმა განსაკუთრებით ფართოდ და მკვიდრად გაიდგეს ფეხი მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, ბაღლის და სხვა რაიონებში. ინგირის, ლაითურის, ჩაქვის, აჩიგვარისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთოლს ძირითადად მანქანები კრეფენ.

პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში ხაზგასმით არის ლაპარაკი ჩაის წარმოების გადიდებაზე. ეს უწინარეს ყოვლისა მოითხოვს კომპლექსური მექანიზაციის უფრო ფართოდ დანერგვას. ამ მიზად მნიშვნელოვან და სადღეისო საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება მეჩაიეობის დიდმა რაიონებმა. მახარაძის („ლენინის დროშა“), ზუგდიდის („მებრძოლი“), ქობულეთისა („ლენინელი“) და ბაღლის („ლენინელი“) რაიონელთა გაზეთებმა კარგი თაოსნობა გამოიჩინეს და მეჩაიეობაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის საკითხებს სპეციალური ნომერი მიუძღვნეს.

ეს სპეციალური ნომერი ერთობლივად მომამზადეს ბაღლის, ზუგდიდის, ქობულეთისა და მახარაძის რაიონული გაზეთების რედაქციებმა. პირველ გვერდზე ანშლაგი გვაუწყებს: „მექანიზაცია სიუხვის დიდაა!“ აქვე არის პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებიდან მოწოდება „ფართო მასშტაბით განვახორციელოთ ხელის შრომის შეიცვლა მანქანურით“. გაზეთები ბეჭდავენ საინტერესო მასალებს კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებაზე, მის შემდგომ პერსპექტივებზე. „ლენინის დროშა“ მოწოდებულ სტატიაში „გავეცნოთ ოთხი რაიონის მეჩაიე მექანიზატორთა გამოცდილებას“ წერს:

სპეციალურ ნომერში გამოქვეყნებული წერილების ავტორები მოგვითხრობენ ჩაის მანქანური კრეფის დარგში მიღწეულ წარმატებებზე, აღნიშნავენ მისი განვითარების პერსპექტივებს. გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს ჩაის წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციის შემდგომ აღმავლობას.“

ოთხ რაიონულ გაზეთში წერილები: „მანქანები იპყრობენ ასპარეზს“, „საქართველო“ — ეროვნული სიამაყე“, „მომავალი „საქართველოს“ ეკუთვნის“,„. „მეჩაიეთა მეგობარი“, „მანქანა ოსტატის ხელში“, „მანქანები ეხმარებიან მეჩაიეებს“, „ინგირი — პირველი მეკვლე“, „მამის კვალზე“, „ფორძონიდან — „საქართველომდე“ და სხვა წერილები, ინფორმაციები მოგვითხრობენ იმ დიდ შემართებაზე, რასაც ამ რაიონების მშრომელები, პარტიული, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, სპეციალისტები, მექანიზატორები იჩენენ კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის.

მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთისა და ბაღლის რაიონული გაზეთების ერთობლივი ნომრები გემოვნებით არის გაფორმებული. დაბეჭდილი მასალები საქმიანია. ეს კარგი თაოსნობაა. მაგრამ ჩვენი აზრით, ეს ინიციატივა ერთი დღის კამპანიად კი არ უნდა გადაიქცეს, არამედ ამ რაიონების გაზეთების რედაქციებმა შემდგომშიც სისტემატურად დაუთმონ ადგილი მეჩაიეობაში კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ დანერგვის საკითხებს.

ნ. ჯანჯღავა.

2. მეფობლები ერთმანეთისაგან სწავლობენ

ხალხურ სიბრძნეს ბევრი კარგი რამ შემოუნახავს კეთილ მეგობრობაზე. ამ რიგ ღიარ მარტო ეს სიტყვები: „მეზობელი მეზობლის სარკეა“, ანდა: „მეზობელს თუ რამე აქვს, შენცა გაქვსო“. ამიტომ წითელწყაროელი მშრომელები ინტერესით წაიკითხავდნენ გაზეთ **„ახალი შრომის“** 20 ივლისის ნომერს, რომლითაც ისინი გაეცნობოდნენ როგორც თავიანთი რაიონის, ისე მეზობელი — სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიონების ადამიანთა შემართების, მომავლის ვარგებსა და მათი შესრულების გზებს.

როგორც ცნობილია, სამივე რაიონის მშრომელებმა წარმატებით გაანაღდეს შერვე ხუთწლედით ნაკისრი ვალდებულებანი და ახალი ძალით შეუდგნენ პარტიის XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლას. ყოველივე ამის შესახებ მოთხრობილია პარტიის წითელწყაროს, სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიკომების პირველი მდივნების ა. გონაშვილის, დ. გელაშვილისა და პ. ბაბუნაშვილის სტატიებში.

მკითხველი გაზეთის ფურცლებიდანვე იკითხავს შრომის ადამიანთა ფიქრებსა და საქმეებს.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. მამაიაშვილი თავის წერილში აღნიშნავს, რომ მათთან დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა სუფევს. კოლმეურნეობამ წარმატებით გაანაღდა მიმდინარე წლის ექვსი თვის დავალებანი და იკისრა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება.

აირხოსკალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მ. კობაძის წერილში ნათქვამია, რომ აქ ენერგიულად შრომობენ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, რაც მეცხოველეობის აღმავლობის საფუძველია.

გაზეთში მოთავსებულია სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის ვ. ხუციშვილის, ლაგოდეხის რაიონის ცოდნისკარის ძერეინსკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. კაპანაძის, წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორის, ვ. კაკალაშვილისა და სხვების წერილები. ი. ბალიაშვილისა და შ. ბიკაშვილის წერილები კი გვაცნობენ სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ ლენინის ორდენოსანი ბრიგადირის კ. მაზიაშვილისა და ლაგოდეხის რაიონის სოფელ ავეშის კოლმეურნეობის კომკავშირელი მერგოლურის ცტალიანაძის შრომითს მამაცობას.

წითელწყაროს რაიონულ გაზეთ **„ახალი შრომის“** ეს ნომერი ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურად მძლავრი სამი რაიონის მშრომელთა ერთიანი სურვილის განხორციელებას — **მოიპოვონ ახალი წარმატებანი სოციალისტური შეჯიბრების დროშით.**

გ. ზუკაკიშვილი.

მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობას!

მეცხოველეობის **ყუათიან საკვებში მნიშვნელოვანი კომპონენტია ბალახის ფქვილი. ეს საკვები განსაკუთრებით აუცილებელია მეფრინველეობისათვის კომბინირებული ულუფის დასამზადებლად. ბალახის ფქვილს კი ძირითადად ამზადებენ მარნეულის რაიონის მუღანლოს სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობაში. აქ ყოველწლიურად ათასობით ტონა ბალახის ფქვილს ამზადებენ. წელს ვალდებულება აქვთ ნაკისრი დაამზადონ 6.500 ტონა ბალახის ფქვილი.**

ახლა რაიონში 1.700 ჰექტარზე უთესიათ მრავალწლიანი მცენარეები. მიმდინარეობს მოსავლის აღება, და საშუალოდ ჰექტარზე მექანიზატორები თიბავენ 250-270 ცენტნერ მწვანე მასას. ამ სამუშაოს ტემპი დღითიდღე ძლიერდება.

სურათზე: ზემოთ — ოინჯის აღება მუღანლოს ვიტამინიზებული ბალახის ფქვილის წარმოების საბჭოთა მეურნეობაში; ქვემოთ — მზა პროდუქციის გაგზავნა დანიშნულებისამებრ.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ჩვენი ფოსტიდან

● **ტყიბული.** კურსებელმა პიონერებმა და სოფლის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს თავიანთ თანამოფლეს, საბჭოთა კავშირის გმირს, მეტალურგშენის ტრესტის ქიმიური სამშენებლო სამმართველოს უფროსს ა. ნ. უკლებას.

საზეიმო სხდომა სიტყვით გახსნა კურსების საშუალო სკოლის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ნ. მასხარაშვილმა. გმირის სახელოვანი საბრძოლო გზის შესახებ დამსწრეთ ესაუბრა სასწავლო ნაწილის გამგე შ. ჭირაქაძე, მასსალმებელი ლექსები წაიკითხეს პიონერებმა თ. კიორკაძემ, ვ. ბერიძემ, ნ. ატო, ამელ და ბოჩა ამელაძეებმა.

ვ. ციხკარიძე

● **ჟუთაისი.** ქალაქში სულ უფრო ფართოდ ჩაედება **კოოპერაციული ბინათმშენებლობა. გორის ქუჩაზე ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის ფართობი 3.300 კვადრატულ მეტრს შეადგენს და რომელიც № 28 სახლთან კოოპერატივმა ააშენა. ახალმოსახლეობა იზეიმეს აგრეთვე № 32 სახლთან კოოპერატივის წევრებმა, რომლებმაც 2.700 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის მქონე სახლი ააგეს ცხინვალის ქუჩაზე.**

მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 12.200 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის კოოპერატიული სახლები.

შ. ჯავახიშვილი

● **ონი.** მამისონის მთებში მყოფ მეცხოველეებს ესტუმრა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ ლექტორები, სარაიონო კულტურის სახლის თვითმოქმედების მონაწილენი. რაიკოოპერატივის აეტოფარდულმა მეცხოველეებს მოუტანა სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

პარტიის ონის რაიკომის ინსტრუქტორმა შ. ჯინჭარაძემ წაიკითხა ლექცია მეცხრე ხუთწლედში მეცხოველეობის აღმავლობის საკითხზე. რაიონის მთავარი ექიმი ს. გორგიაშვილი დამსწრეთ ესაუბრა თემაზე — ცხოველების დაავადებათა პროფილაქტიკა.

საინტერესო იყო სარაიონო კულტურის სახლის მხატვრული ბრიგადის სკეტჩიერტო განყოფილება.

ნ. ფუფუაშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა „თბილხილბოსტანეეგზაჭრობის“ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა და შემოწმების შედეგების მიხედვით მიიღო დადგენილება. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „თბილხილბოსტანეეგზაჭრობასა“ და მის განყოფილებებში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული ვაჭრობის ორგანიზაცია, უხეშად ირღვევა საცალო ფასები, შესუსტებულია საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა, ბრძოლა სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ და სხვ.

სავაჭრო ქსელში ფონდის გადაჭარბებით ხშირად შეაქვთ ისეთი საქონელი, რომელიც ამ სავაჭრო ქსელში რეალიზაციისათვის არ არის გათვალისწინებული მაშინ, როცა ხილი, მწვანილი და ბოსტნეული არა აქვს ხოლმე და მოსახლეობა იძულებულია ეს პროდუქტები იყიდოს ძირითადად საკოლმეურნეო ბაზრებში.

ობიექტებზე სუსტად ინერგება ვაჭრობის პროგრესული მეთოდები, არ არის თვითმომსახურების მაღაზიები, ცოტაა დაფასოებული საქონელი, დაბალია მომსახურების კულტურა. კვლავ უხეშად ირღვევა საქონლის სახელმწიფო საკალ ო ფასები და საქონლის მიღებისა და რეალიზაციის წესები.

მაგალითად, ნავთლუღის სახითუმო ბაზამ იმპორტულ შავ ქაშმიშში მომხმარებლებს კილოგრამში 90 კაპიკის ნაცვლად გადაახდევინა მანეთი, კილოგრამ ხილფაფაში 75 კაპიკის ნაცვლად — 80 კაპიკი, ლიტრ ვაშლის წვენში — 62 კაპიკის ნაცვლად — 80 კაპიკი, ორ კილოგრამიან ქილა ქლიავის კომპოტში მანეთი და 10 კაპიკის ნაცვლად — მანეთი და 60 კაპიკი.

ჯერ კიდევ ხშირია მომხმარებელთა წონასა და ფასში მოტყუების ფაქტები. სულ 86 შემოწმებული სავაჭრო ობიექტიდან მომხმარებლების წონაში, ფასში მოტყუებისა და ანგარებითი მიზნით სხვა დარღვევის ფაქტები გამოვლინდა 40 ობიექტზე (46,5 პროცენტი).

„თბილხილბოსტანეეგზაჭრობაში“ და მის განყოფილებებში საუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების საქმე ქაოსურ მდგომარეობაშია. 1971 წლის 1 იანვრისათვის დებიტორული დავალიანება 1970 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 522,2 ათასი მანეთით გაიზარდა და 1.043 ათას მანეთს მიაღწია, ხოლო კრედიტორული დავალიანება შესაბამისად გადიდდა 2.079 ათასი მანეთით და შეადგენს 2.924 ათას მანეთს. დავალიანების ამგვარი ზრდა გამოწვეულია იმით, რომ წინათ არ ხდებოდა შედარება და რაიანყოფილებები მათ ურთიერთდაფარვით ჩქმალავდნენ.

ლილოს საბითუმო ბაზის არასწორმა ოპერაციებმა „თბილხილბოსტანეეგზაჭრობის“ რაიონული განყოფილებები სერიოზული ფინანსური სიძნელეებს წინაშე დააყენეს.

არადამაკმაყოფილებლად არის აგრეთვე სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმე. 1970 წელს და 1971 წლის პირველ კვარტალში საბალანსო მონაცემებით „თბილხილბოსტანეეგზაჭრობის“ სისტემაში აღრიცხულია გაფლანგვა-ღატაცების რამდენიმე შემთხვევა 9,7 ათასი მანეთის ოდენობით, მაშინ, როცა მთელი ამ დროის მანძილზე რამდენიმე ათეულ შემთხვევაში 100 მანეთზე მეტი ღირებულების დანაკლისებმა 16,1 ათასი მანეთი შეადგინა. მათ შორის 1.827 მანეთის დანაკლისისათვის მაღაზიის გამგეს ჭიშმარიტ მხოლოდ სამუშაოდან განთავისუფლება აკმარეს, ისიც პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო 11 შემთხვევაში გამოვლინებული 200 მანეთამდე დანაკლისისათვის დამნაშავე პირები, ადმინისტრაციული წესითაც კი არ დაუსჯიათ. 26 კომისრის სახელობის რაიონის ქსელის № 70 მაღაზიის დირექტორს ე. პარასტაშვილს 1970 წელს იანვარში გამოუვიდა 450 მანეთი დანაკლისი, აპრილში — 110 მანეთი, ივლისში — 110 მანეთი, აგვისტოში — 604 მანეთი. მიუხედავად ამისა ე. პარასტაშვილი პირადი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლეს. ანალოგიურად მოექცნენ სხვა მაღაზიების დირექტორებსაც.

მოუწესრიგებელია რევიზიების ჩატარების საქმე. დოკუმენტურ რევიზიებს საქვეუწყებო რაიონულ ორგანიზაციებში აწყობს „საქნილბოსტანეეგზაჭრობა“. ირღვევა რევიზიებისა და მასალების განხილვის ვადები, ზოგჯერ რევიზიები უხარისხოდ ეწყობა.

განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის მოწყობის საქმე. არ სრულდება ინვენტარიზაციის მოწყობის ინსტრუქციის დებულებები, არ სრულდება ერთიანი კალენდარული გეგმა-გრაფიკი, თუ რომელ თარიღებში. (მაღაზიები) როდის უნდა მოწყოს აღწერა. ზოგჯერ ინვენტარიზაცია იწყება განკარგულების გაცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ (ნაცვლად კრაუვეიანეა ორი-სამი საათისა), დაწესებული ფორმის (ჟურნალის) მიხედვით არ ხდება ინვენტარიზაციის მთლიანი აღრიცხვა, კგარტალებისა და წლის ბოლოს არ ივსება და არ იგზავნება ზედმეტ ორგანოებში სახელმწიფო ანგარიშების დანართი ფორმა № 12, ამიტომ შეუძლებელია დადგინდეს, მოხდა თუ არა ინვენტარიზაცია ინსტრუქციით გათვალისწინებულ ვადებში.

დატაცებას ხელს უწყობდა ისიც, რომ „თბილხილბოსტანეეგზაჭრობის“ და მისი განყოფილებების ხელმძღვანელები უპასუხისმგებლობას იჩენენ თანაწმრომლებისადმი მინდობილობების გაცემას, მივლინებებში გაგზავნისა და ზენორმატიული ნამუშევის დროულად შემცირების საქმეში.

ზოგიერთ რაიანყოფილებაში გაცემული მინდობილობების რეგისტრაცია ხდება დაუნომრავად, ზონარგაუყრელ, დაულუქავ ჟურნალში.

ლენინის რაიონის განყოფილებაში 1970 წელს გაცემული 835 მინდობილობიდან 1971 წლის 25 იანვრისათვის დაუხურავი იყო 287 მინდობილობა.

„თბილხილბოსტანეეგზაჭრობის“ 26 კომისრის რაიონის განყოფილების ყოფილი დირექტორის, ამჟამად „თბილხილბოსტანეეგზაჭრობის“ დირექტორის ვ. მეაგიას, შემდეგ კ. მისი მოადგილის ამხ. რ. წვერავას მიერ გაცემული მინდობილობებით № 60 მაღაზიის გამგემ გ. ქოიავამ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეშირის საბჭოთა მეურნეობიდან უნაღდო ანგარიშით მიიღო დიდძალი — 112,8 ათასი მანეთის ციტრუსები. მიუხედავად იმისა, რომ ამ მაღაზიებში საქონლის ზენორმატიული ნამუშევი 145 მანეთს აღემატებოდა და ნავაჭრი დროულად არ ბარდებოდა, „თბილხილბოსტანეეგზაჭრობის“ და მისი რაიონული განყოფილების ხელმძღვანელებმა დროულად არ მიიღეს საჭირო ზომები. მარტო შემოწმების პერიოდში ამ მაღაზიაში გამოვლინდა 45,7 ათასი მანეთის საქონლის დანაკლისი.

უხეშად ირღვევა აგრეთვე მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შვებულებათა ვადები. ორი წლის განმავლობაში მორიგი შვებულებებით არ უსარგებლია პირველი მაისის რაიგანყოფილებაში 31 მატერიალურად — პასუხისმგებელ პირს, 26 კომისრის რაიგანყოფილებაში — 39 პირს და ა. შ.

შემოწმების პროცესში ასევე დადგინდა საკასო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტები. ნავაჭრი სახელმწიფოს დიდი დაგვიანებით ბარდება.

23 შემოწმებულ მაღაზიაში გამოვლინდა 48,4 ათასი მანეთის დანაკლისი, ხოლო 12 მაღაზიაში ფულადი დანაკლისი — 15,8 ათას მანეთს შეადგენდა.

„თბილხილბოსტანეეგზაჭრობის“ საფინანსო საქმიანობის შედეგად 1970 წელს გეგმით გათვალისწინებული 282 ათასი მანეთი ზარალის ნაცვლად მიღებულია 298,9 ათასი მანეთი ზარალი, ხოლო 1971 წლის პირველ კვარტალში 50 ათასი მანეთი ზარალის ნაცვლად — 78 ათასი მანეთი ზარალი.

ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ „თბილხილბოსტანეეგზაჭრობაში“ მაღალია მიმოქცევის ხარჯების დონე, უკანონოდ ხარჯავენ და ჩამოწერენ ხოლმე თანხებს ზარალში.

„საქნილბოსტანეეგზაჭრობის“ საბალანსო კომისიის დასკვნით 1970 წელს „თბილხილბოსტანეეგზაჭრობის“ ნავთლუღის ბაზის საწყობების გამგეებს ვ. მაჭავარიანსა და ა. დარახველიძეს უკანონოდ ჩამოსწერეს 376 ტონა გაფუჭებული ხახვის ღირებულება 105,4 ათასი მანეთი და 17,8 ტონა სუბტროპიკული ხურმის ჩირის ღირებულება 32,1 ათასი მანეთი, რომელიც მათ დაეწერეს 1969 წელს. ამავე პირებზე იყო დარიცხული 1970 წლის მოსავლის ხარისხშემცირებული და გაფუჭებული კარტოფილი. რომლის ღირებულება 97,8 ათას მანეთს შეადგენს.

„თბილხილბოსტანეეგზაჭრობის“ ბაზასა და საკალო ქსელში შეტანილია გაუსაკვლიანი და უხარისხო საქონელი, რის გამოც 1971 წლის პირველი აპრილისათვის საქონ

მკაცრად გმოგვენ დანაშაულობებს

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გაფცხადება

პრაღა, 28 ივლისი. (საკდესი.). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ პრაღაში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

დიდი გულისტკივილისა და აღფოთების გრძნობით აღიქვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ ცნობა, რომ მხეცურად გაუსწორდნენ სუდანელი ხალხის ერთგულ შვილს, სუდანის მუშათა პროფკავშირების ფედერაციის გენერალურ მდივანს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეს, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს შაფი აჰმედ აშ-შეიჰს.

ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუდანის მშრომელთა ინტერესებისათვის აქტიურმა მებრძოლმა შაფი აჰმედ აშ-შეიჰმა მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ყველა ქვეყნის პროფკავშირთა ერთიანობისათვის ბრძოლას.

სუდანის მუშათა პროფკავშირების ფედერაციის გენერალური მდივნის მოკვლისა და სუდანის პროფკავშირულ აქტივისტთა დევნის აღმამფოთებელი აქტი მოწმობს, რომ ნიმეირის მთავრობამ უხეშად დაარღვია ელემენტარული უფლებანი და პროფკავშირული თავისუფლებანი, დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საყოველთაო დეკლარაცია ადამიანის უფლებათა შესახებ და მთავრობის მეთაურის მიერ ახლო წარსულში გაკეთებული განცხადებანი, რომ პატივს სცემს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და სუდანის პროფკავშირების საქმიანობას.

სუდანის პროფკავშირთა და საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელის ვერაგული მკვლელობა შეესაბამება იმპერიალიზმის გეგმებს გათიშოს არაბული ქვეყნებისა და ხალხების მშრომელთა ერთიანობა რეაქციის ძალების, ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

მილიონობით მშრომელის სახელით, ნათქვამია განცხადებაში, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მკაცრად გმობს ნიმეირის მთავრობის დანაშაულობებს.

რეპრესიები სუდანში!

გასამართლება დახურულ დარბაზში

ლონდონი, 27 ივლისი. (საკდესი). დღეს ხართუმის გარეუბანში, სამხედრო ტრიბუნალის პატარა დახუთულ ოთახში დაიწყო გუშინ დაპატიმრებული სუდანის კომუნისტური პარტიის კომიტეტის გენერალური მდივნის აბდელ ჰალეკ მაჰჯუბის საქმის გარჩევა.

სამხედრო ტრიბუნალების ყველა დანარჩენი სხდომისაგან განსხვავებით, რომლებიც არჩევენ იმ პირთა საქმეებს, რომლებსაც ბრალად ედებათ 19 ივლისის მოძრაობაში მონაწილეობა ან კომპარტიის წევრობა, ამჯერად სხდომაზე დაუშვეს პრესის წარმომადგენლები.

რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ანგარიშში სასამართლო გარჩევის დაწყების შესახებ, აღნიშნავს, რომ 45-წუთიანი სხდომის შემდეგ თავმჯდომარემ, რომელსაც ამჯერად აღიზიანებდა მისი მსვლელობა, გამოაცხადა შესვენება, ხოლო მორიგე ოფიცერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამიერიდან ტრიბუნალის სხდომები იწარმოებს დახურულ დარბაზში.

მაჰჯუბს წაუყენეს ბრალდება, რომ ხელმძღვანელობდა მთავრობის საწინააღმდეგო გადატრიალებას და რომ განაახლა სუდანში აკრძალული კომუნისტური პარტიის საქმიანობა. ა. ჰ. მაჰჯუბმა არ ცნო თავი დამნაშავედ ბრალდების არც ერთი პუნქტის მიხედვით.

მაჰჯუბმა განაცხადა, რომ ტრიბუნალი არ არის უფლებამოსილი განიხილოს მისი საქმე, რამდენადაც თავმჯდომარე ცნობილია სუდანის პროგრესული ძალებისადმი მტრული დამოკიდებულებით. ტრიბუნალმა უარყო მისი პროტესტი, ყოველთვის, როცა მაჰჯუბი პასუხს აძლევდა კითხვაზე, ტრიბუნალის თავმჯდომარე აწყვეტინებდა მას და მოითხოვდა ეპასუხნა: „ჰო“ ან „არა“.

მას შემდეგ რაც გამოცხადდა შესვენება, ჟურნალისტები გარშემოერტყნენ მაჰჯუბს, მაგრამ მცველებმა აუკრძალეს მათ კითხვის მიცემა. როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, **მაჰჯუბმა მოასწრო მხოლოდ ეთქვა: „ხალხი ძალზე იტანჯება სისხლისღვრისაგან“.**

ა. ჰ. მაჰჯუბი სიკვდილით დასჯეს

კაირო, 28 ივლისი. (საკდესი). ხართუმის სამხედრო ტრიბუნალში გუშინ გაარჩიეს სუდანის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის აბდელ ჰალეკ მაჰჯუბის საქმე. მაჰჯუბმა არც ერთ პუნქტში არ ცნო თავი დამნაშავედ.

ომდურმანის რადიო იუწყება, რომ ტრიბუნალმა სუდანის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით. განაჩენი დაამტკიცა გენერალმა ნიმეირიმ. დღეს დილით განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

ფოტოინფორმაცია

კენედი ნიქსონმა აღიარა, რომ საყოველთაო ნარკომანია ამერიკელ ჯარისკაცებს შორის სამხრეთ ვიეტნამში საკმაოდ „მწარე ასპექტია“. ორგანიზმის მომწამვლელ და მათრობელა საშუალებათა გამო დისციპლინარული ზომამქედები, დაპატიმრებანი არავითარ შედეგს არ იძლევა. ხელისუფალნი იძულებული არიან სასწრაფო ზომები მიიღონ ამ ეროვნული უბედურების ლიკვიდაციისათვის. სამხედრო ნაწილებში ეწყობა ძალდატანებითი გამოკვლევა ნარკომანთა გამოსავლინებლად. ამასთან ამ ეპიდემიის მთავარი მიზეზები — შიში საკუთარი სიცოცხლისათვის, შიში ჩადენილ დანაშაულობათა გამო შურისძიებისათვის, სასოწარკვეთილება, უიმედობა — უყურადღებოდ რჩებათ ომის მესვეურებს.

* * *

სურათზე: რიგი სამედიცინო პუნქტში სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში. აქ ნარკომანებს აკლინებენ.

ფოტო „ნიუსუიკ“ — საკდესისა.

ბრინჯაოს ღაჟა ღაღადებს

დასავლეთი ბერლინი, 27 ივლისი. „როზა ლუქსემბურგი, რომელიც 1871 წლის 5 მარტს დაიბადა და კარლ ლიებკნეხტი, რომელიც 1871 წლის 13 აგვისტოს დიბადა, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მოწამეობენ — დახოცეს აქ 1919 წლის 15 იანვარს“. ბრინჯაოს მემორიალური დაფა ამ წარწერით გაკარეს დასავლეთ ბერლინში ლანდვერის არხის ერთ-ერთ ხიდზე იმ ადგილის მახლობლად, სადაც გერმანელ რეაქციონერთა ხელით დაიღუპნენ კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი. მოღვაწეები.

ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე

დელი. 28 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის პრესის სააგენტო იმოწმებს ოფიციალურ წყაროებს და იუწყება, რომ პაკისტანის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს სოფელ გადაკს (დასავლეთ ბენგალიის შტატი).

ყარაჩი, 28 ივლისი. (საკდესი). პაკისტანის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინდოეთის შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლი დაუშინეს ქალაქ კომილუს (აღმოსავლეთი პაკისტანი).

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ თანი გუშინ ცალ-ცალკე შეხვდა ინდოეთისა და პაკისტანის ელჩებს, რომლებთანაც განიხილა ინდოეთისა და პაკისტანის საზღვარზე დაძაბული ვითარების საკითხი.

ინგლისის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია

ლონდონი. 28 ივლისი. (საკდესი). ინგლისის ბევრმა თვალსაჩინო პროფკავშირულმა მოღვაწემ ხელი მოაწერა მიმართვას, რომელიც მოითხოვს ბოლო მოეღოს რეპრესიებს სუდანში და ინგლისის მუშათა მოძრაობას მოუწოდებს ხმა აიმაღლოს სუდანში დაპატიმრებულთა დასაცავად.

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, ნათქვამია მიმართვაში, აღშფოთებულია იმის გამო, რომ სუდანში სიკვდილით სჯიან ხალხს და აპატიმრებენ პროფკავშირულ მოღვაწეებს, სოციალისტებს, კომუნისტებსა და სხვა პროგრესულ პირებს.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომმა სუდანის საელჩოს გაუგზავნა პროტესტი სასიკვდილო განაჩენებისა და დაპატიმრებების წინააღმდეგ და მოითხოვა პატიმართა დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

სუდანის მთავრობას ოფიციალური პროტესტი ქიმიკოსთა პროფკავშირის სახელით გადასცა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა, პარლამენტის წევრმა-ლეიბორისტმა ედვარდსმა.

ფრანგ კომუნისტთა პროტესტი

პარიზი. 28 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ მტკიცე პროტესტი განაცხადა სუდანში კომუნისტი პატრიოტებისა და პროგრესული მოღვაწეების სიკვდილით დასჯისა და მასობრივი დაპატიმრების წინააღმდეგ.

სუდანის მთავრობისათვის გაგზავნილ დეპეშაში საფრანგეთის კომუნისტური პარტია აღნიშნავს, რომ ასეთი რეპრესიები ძალიან ასუსტებენ არაბი ხალხების განმათავისუფლებელ და ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას. ყველგან და ყოველთვის ანტიკომუნიზმი იმპერიალისტებისა და რეაქციული ბურჟუაზიის შხამიანი იარაღი იყო.

ჩვენ გადავრთი მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს სისხლიანი ტერორი სუდანში, ნათქვამია დეპეშაში.

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებულია

ლონდონი. 28 ივლისი. (საკდესი). ინგლისის ბევრმა თვალსაჩინო პროფკავშირულმა მოღვაწემ ხელი მოაწერა მიმართვას, რომელიც მოითხოვს ბოლო მოეღოს რეპრესიებს სუდანში და ინგლისის მუშათა მოძრაობას მოუწოდებს ხმა აიმაღლოს სუდანში დაპატიმრებულთა დასაცავად.

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, ნათქვამია მიმართვაში, აღშფოთებულია იმის გამო, რომ სუდანში სიკვდილით სჯიან ხალხს და აპატიმრებენ პროფკავშირულ მოღვაწეებს, სოციალისტებს, კომუნისტებსა და სხვა პროგრესულ პირებს.

ინგლისელ კომუნისტთა ბრალდებანი

ლონდონი, 27 ივლისი. (საკდესი). ინგლისელ კომუნისტთა ეროვნული კომიტეტის ბიულეტენი ამბობს, ინგლისელ ოფიციალურ პირებს ეცოდინებოდა, ინფორმაციას ფლობდნენ ინგლისელ ბიზნესმენებსა და ინგლისელ ტექნიკოსებს

მარად უკვდავნი

ზეიმი გუდამაყრის ხეობაში

ᲨᲔᲛᲘᲓᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲣᲓᲐᲛᲐᲧᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

□

ᲨᲔᲛᲘᲓᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲣᲓᲐᲛᲐᲧᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲔ ᲛᲔᲗᲝᲠᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲠ